ქალაქ თბილისის მერი

ბრძანება № 10

"15" იანვარი 2009 წ.

26 01 2009
040030002.38101.012.699

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს და ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის გაერთიანებული სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს და ქ. თბილისის მერიის ს.ს.ი.პ. - ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის გაერთიანებული სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს კომპეტენციისა და მის საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხების ახლებური და საქართველოს კანონმდებლობასთან ჰარმონიზებული რეგლამენტაციის მიზნით, "საქართველოს დედაქალაქის-თბილისის შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის "ნ" ქვეპუნქტის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს N140 დადგენილების, "ქალაქ თბილისის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 2006 წლის 12 ოქტომბრის N1-1 გადაწყვეტილებით დამტკიცებული დებულების მე-9 მუხლის პირველი პუნქტის "უ" ქვეპუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. დამტკიცდეს საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს და ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის გაერთიანებული სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს დებულება დანართის თანახმად.

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ქ. თბილისის მერის 2006 წლის 10 თებერვლის N11 ბრძანება "საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს და ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის გაერთიანებული სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ".

3. ბრძანება ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ თბილისის მერი *გიორგი უგულავა*

ქ. თბილისი 0160, ჟ. შარტავას ქუჩა №7, ტელ.: (+995 32) 378123, ფაქსი: (+995 32) 378154

დანართი

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს და ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის წარმომადგენელთაგან ქალაქ თბილისის მერიაში შექმნილი სათათბირო ორგანოს - გაერთიანებული სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

თავი I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1.

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს და ქალაქ თბილისის მერიის ს.ს.ი.პ. - ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მერიაში შექმნილი სათათბირო ორგანო - გაერთიანებული სამეცნიერო-მეთოდური საბჭო (შემდგომში "საბჭო") წარმოადგენს ქ. თბილისის მერიის სათათბირო ორგანოს, რომელიც თავის მუშაობას წარმართავს საქართველოსა და ქ. თბილისში მოქმედი ნორმატიული აქტების, მათ შორის "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის და ამ დებულების საფუძველზე.

თავი II. საბჭოს შემადგენლობა, სტრუქტურა და კომპეტენცია

მუხლი 2.

1. საბჭოს თავმჯდომარეა ქალაქ თბილისის მერის მოადგილე, რომელსაც ნიშნავს და ათავისუფლებს ქალაქ თბილისის მერი.

2 საბჭოს თავმჯდომარეს ჰყავს მოადგილე, რომელსაც საბჭოს წევრთაგან ნიშნავს ქალაქ თბილისის მერი.

3. საბჭოს შემადგენლობაში, თავმჯდომარის გარდა შედიან:

ა) ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 3 (სამი) წარმომადგენელი;

ბ) საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს 3 (სამი) წარმომადგენელი;

გ) ქალაქ თბილისის საკრებულოს 1 (ერთი) წარმომადგენელი;

დ) ქალაქ თბილისის ძველი თბილისის რაიონის გამგეობის 1 (ერთი) წარმომადგენელი;

ე) საზოგადოებრივი და არასამთავრობო სექტორის 2 (ორი) წარმომადგენელი.

4. საზოგადოებრივი და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებს ნიშნავს და ათავისუფლებს ქ.თბილისის მერი; ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის, ქ. თბილისის საკრებულოს და ქ. თბილისის ძველი თბილისის რაიონის გამგეობის წარმომადგენლებს მათივე ხელმძღვანელების წარდგინებით, ხოლო საქართველოს

კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს წარმომადგენლებს, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის წარდგინებით ნიშნავს და ათავისუფლებს ქ. თბილისის მერი.

5. საბჭოს სხდომებს ორგანიზებას უწევს საბჭოს მდივანი, რომელიც შესაძლოა არ იყოს საბჭოს წევრი.

6. საბჭოს მდივანს დამსწრე წევრთა ხმების უბრალო უმრავლესობით ნიშნავს და ათავისუფლებს საბჭო.

7. საბჭოს უფლება აქვს მოიწვიოს სპეციალისტები სამუშაო პროცესში მონაწილეობის მისაღებად.

8. საბჭოს წევრს უფლებამოსილება უწყდება პირადი განცხადებით ან ამ დებულების მე-8 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

მუხლი 3

1. საბჭოს კომპეტენციას განეკუთვნება:

ა) დედაქალაქის ტერიტორიაზე, ისტორიულ ნაწილში, ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების ორგანიზებულად წარმართვისათვის მოსაზრებების მომზადება, ისტორიული მემკვიდრეობის დაცვისა და ახალმშენებლობის პროექტების, ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის (მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა; დეტალური დაგეგმარების პროექტები; განაშენიანების პროექტები; უფლებრივი ზონირების რუკები; ისტორიულ-კულტურულ საყრდენი გეგმა და სხვა ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაცია) განხილვა.

ბ) ქალაქის ისტორიული ნაწილის დაცვის ზონების საზღვრებში ცალკეული შენობების რესტავრაციის, რეკონსტრუქციის, რეაბილიტაციის, ადაპტაციისა და ახალი შენობა-ნაგებობების საპროექტო წინადადებებისა და პროექტების განხილვა;

გ) ქალაქის ისტორიული ნაწილის სახელმწიფო დაცვის, განაშენიანების რეგულირებისა და ბუნებრივი ლანდშაფტის დამცავ ზონაში კეთილმოწყობისა და მხატვრული გაფორმების საპროექტო წინადადებებისა და პროექტების (მცირე ფორმების, საინჟინრო მოწყობილობებისა და რეკლამების) განხილვა.

დ) ქალაქის ისტორიულ გარემოში დისონანსის შემტანი შენობა-ნაგებობების სრული ან ნაწილობრივი ლიკვიდაციისა და მათი ახალი, ქალაქის ისტორიულად ჩამოყალიბებულ გარემოსთან არქიტექტურულ-მხატვრული ხასიათითა და მასშტაბით შერწყმული შენობა-ნაგებობებით ჩანაცვლების საკითხების განხილვა;

ე) ქ. თბილისის ისტორიული ნაწილის ტერიტორიაზე დაგეგმარების, განაშენიანებისა და რეკონსტრუქციის საპროექტო წინადადებისა და პროექტების, ასევე ფიზიკური ან/და იურიდიული პირების მიერ ქ. თბილისის ისტორიული ნაწილის არეალისათვის შემუშავებული წინადადებების განხილვა;

ვ) შესაბამისი დასკვნის მომზადება ობიექტისათვის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მინიჭების ან მოხსნის თაობაზე;

ზ) ქ. თბილისის მერის დავალებებისა და მითითებების დაუყონებლივი განხილვა და რეაგირება საბჭოს კომპეტენციის ფარგლებში;

თ) საჯარო მოსმენების ორგანიზება მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით;

ი) ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის თაობაზე ქ. თბილისის საკრებულოსა და მერიის ნორმატიული აქტების მომზადება.

კ) სხვა საქმიანობა საბჭოს კომპეტენციიდან და საქართველოს კანონმდებლობიდან გამომდინარე.

2. ზემოაღნიშნული საქმიანობის განსახორციელებლად საბჭოს უფლება აქვს გამოითხოვოს მერიის საქალაქო სამსახურებიდან და მათდამი დაქვემდებარებული სტრუქტურებიდან ოფიციალური მონაცემები და დოკუმენტები, რომელიც აუცილებელია საბჭოს მუშაობისათვის.

თავი III. საბჭოს თავმჯდომარის უფლება-მოვალეობები

მუხლი 4

საბჭოს თავმჯდომარე:

ა) ხელმძღვანელობს საბჭოს მუშაობას, იწვევს და უძღვება სხდომებს;

ბ) კოორდინაციას უწევს საბჭოს წევრების მუშაობას;

გ) ხელს აწერს საბჭოს მიერ შემუშავებულ დასკვნებსა და წინადადებებს, აგრეთვე საბჭოს სხდომის ოქმს;

დ) იწვევს საბჭოს მორიგ და რიგგარეშე სხდომებს, დავალებებს აძლევს საბჭოს წევრებს;

ე) საბჭოს სახელით აწარმოებს სამსახურებრივ მიმოწერას;

ვ) საბჭოს სხდომებში მონაწილეობისათვის იწვევს სახელმწიფო ორგანიზაციების წარმომადგენლებს, სპეციალისტებსა და დამოუკიდებელ ექსპერტებს;

ზ) აკონტროლებს საბჭოს სხდომების დღის წესრიგს, სამუშაო გეგმისა და მიღებული გადაწყვეტილებების შესრულებას;

თ) ახორციელებს მასზე საბჭოს მიერ დაკისრებულ ვალდებულებებს;

ი) ყოველწლიურად წარუდგენს ქ. თბილისის მერიას წერილობით ანგარიშს საბჭოს მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ;

კ) ასრულებს წარმომადგენლობით ფუნქციას;

ლ) ახორციელებს სხვა უფლება-მოვალეობებს;

მუხლი 5

1. საბჭოს თავმჯდომარეს ჰყავს მოადგილე, რომელიც თავმჯდომარის არყოფნის პერიოდში ახორციელებს მის უფლებამოსილებებს.

2. თავმჯდომარის მოადგილე კანონმდებლობის შესაბამისად ასრულებს თავმჯდომარის ცალკეულ დავალებებს.

თავი IV. საბჭოს მდივანი

მუხლი 6

საბჭოს მდივანი:

ა) ორგანიზებას უწევს საბჭოს სხდომების გამართვას, განაგებს საბჭოს საქმის წარმოებას, კოორდინაციას უწევს საბჭოს მუშაობას, აწარმოებს საბჭოს სხდომების საოქმო დოკუმენტაციას და ხელს აწერს საბჭოს ოქმს;

ბ) საბჭოს წარუდგენს განსახილველ საკითხთა განრიგს;

გ) საბჭოზე განსახილველ საკითხთა ჩამონათვალს ურიგებს საბჭოს წევრებს და უწევს კონტროლს დოკუმენტაციის შეგროვებასა და მის დამუშავებას;

დ) ახორციელებს საბჭოს დებულებით გათვალისწინებულ და მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

თავი V. საბჭოს წევრის უფლება-მოვალეობები

მუხლი 7

საბჭოს წევრს უფლება აქვს:

ა) საბჭოს სხდომაზე დააყენოს საკითხები და წინადადებები. მიიღოს მონაწილეობა მათ განხილვასა და ამ საკითხებისათვის კენჭისყრაში;

ბ) წერილობით აცნობოს ქ. თბილისის მთავრობას თავისი პოზიცია იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომელზეც მისი აზრი პრინციპულად განსხვავდება საბჭოს სხდომაზე მიღებული წინადადების ან დასკვნისაგან;

გ) საბჭოს გადაწყვეტილებით იყოს მისი ოფიციალური წარმომადგენელი.

მუხლი 8

1. საბჭოს წევრი ვალდებულია:

ა) მონაწილეობა მიიღოს საბჭოს სხდომებში და არ გამოტოვოს სხდომა არასაპატიო მიზეზით;

ბ) შეასრულოს საბჭოს დავალებები და დაიცვას ამ დებულებით განსაზღვრული მოთხოვნები;

გ) წარუდგინოს საბჭოს ანგარიში დავალებების შესრულების შესახებ;

2. საბჭოს წევრებს შეიძლება მიეცეთ აცილება საკითხების განხილვაში მონაწილეობისაგან, თუ ცნობილი გახდა ან დადასტურდება მათი პირდაპირი ან ირიბი, კერძო ან უწყებრივი დაინტერესება საბჭოში განსახილველ საკითხთან დაკავშირებით;

3. საბჭოს წევრს უფლებამოსილება უწყდება თუ ერთი კვარტლის განმავლობაში 3-ჯერ გააცდენს სხდომას არასაპატიო მიზეზით.

თავი VI. საბჭოს მუშაობის რეგლამენტი და ანგარიშვალდებულება

მუხლი 9

1. საბჭოს სხდომები იმართება საჭიროებისამებრ, მაგრამ არანაკლებ თვეში ერთხელ;

2. საბჭოს სხდომის ორგანიზების და მისი მიმდინარეობის წესი განისაზღვრება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად;

3. საბჭოს სხდომაზე მოწვეული უნდა იქნეს მისი ყველა წევრი;

4. საბჭოზე არ შეიძლება განხილულ იქნას საკითხი, გარდა შიდა საორგანიზაციო და საპროცედურო საკითხებისა, თუკი ასეთი წინასწარ არ არის შეტანილი საბჭოს წევრებთან შეთანხმებულ დღის წესრიგში;

5. საბჭოს წევრს უფლება აქვს სხდომის დაწყების წინ წერილობით წარუდგინოს თავისი პოზიცია თავმჯდომარეს სხდომაზე განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით, რომელიც უნდა გაცხადდეს სხდომაზე და გათვალისწინებული იქნას გადაწყვეტილების მიღებისას;

6. საბჭოს სხდომა ფორმდება ოქმის სახით, რომელშიც უნდა მიეთითოს:

ა) ოქმის გამომცემი ორგანოს დასახელება;

ბ) სხდომის დრო და ადგილი;

გ) სხდომის თავმჯდომარის და წევრების ვინაობა;

დ) განხილვის საგანი;

ე) კენჭისყრის შედეგები;

ვ) მიღებული გადაწყვეტილება.

7. სხდომის ოქმს ხელმოწერით ადასტურებენ საბჭოს თავმჯდომარე და მდივანი;

8. საბჭოს სხდომებზე ხდება დამსწრეთა რეგისტრაცია. საბჭო უფლებამოსილია თუ სხდომას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი. გადაწყვეტილების მიღება ხდება დამსწრე წევრთა ხმების უბრალო უმრავლესობით. ხმათა თანაბარი რაოდენობის შემთხვევაში გადამწყვეტია საბჭოს თავმჯდომარის ხმა.

მუხლი 10

1. საბჭო თავის სხდომებზე გაწეული სამუშაოს შესახებ ანგარიშს წარუდგენს ქ. თბილისის მერს ყოველი კალენდარული წლის დეკემბრის თვეში;

2. ქ. თბილისის მერს შეუძლია ნებისმიერ დროს მოითხოვონ ანგარიში საბჭოს მიერ გაწეული მუშაობის შესახებ მის მიერ განსაზღვრულ ვადაში.